საქმე # 330100117002106690

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განჩინება
საქართველოს სახელით
დასაშვებობის შესამოწმებლად საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

საქმე №588ა3-18. ქ. თბილისი
მ-–---ე დ------588ა3-18. 11 თებერვალი, 2019 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
პაატა სილაგაძე, პაატა ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ----- მ-–---ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ------- გ-----ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენით **დ----- მ-—--ე, –**----------–---------- ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და დ----- მ-–---ეს პ----- ა-----–----–ის სასარგებლოდ დაეკისრა 9000 აშშ დოლარისა და 9000 ლარის გადახდა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად; ამასთან, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დ----- მ-–---ეს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რომლის მოხდა დაეწყო 2017 წლის 10 აგვისტოდან.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 552-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ამიტომ წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული ამავე კოდექსის 547–ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 555[1]-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ----- მ-–---ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ------- გ-----ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განაჩენზე მიღებულ იქნეს წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

თავმჯდომარე	გ. შავლიაშვილი
მოსამართლეები:	პ. სილაგაძე
	პ. ქათამაძე